საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქ. თბილისი

25 თებერვალი, 2020 წელი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 9 აგვისტოს №223 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №3

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 12 (კმ 11+500)-ზე, მდ. ხევისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

1. **ირაკლი ქარსელაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარე.

სატენდერო კომისიის წევრები:

2. **გიორგი წერეთელი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ალექსანდრე თევდორაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
4. **ლევან კუპატაშვილი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
5. **გიორგი ციბაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
6. **კარლო ლეკვეიშვილი** - დეპარტამენტის ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
7. **სალომე წურწუმია** - დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
8. **დავით კალაძე** - დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
9. **პავლე გამყრელიძე** - დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

1. **ნათია ცხოიძე** - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
2. **გოჩა მალანია** - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე).

<u>დღის წესრიგი:</u>

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 12 (კმ 11+500)-ზე, მდ. ხევისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT200002277 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე(NAT) სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

<u>მოისმინეს:</u>

სატენდერო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა NAT200002277 ელექტრონული ტენდერთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წერილობითი ინფორმაცია (2020 წლის 25 თებერვლის სამსახურებრივი ბარათი №2069-2), რომლის თანახმად, მიმდინარე ელექტრონულ ტენდერში „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით 2020 წლის 19 თებერვალს დასმული შეკითხვის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა ხარჯთაღრიცხვის პირველი თავის (მოსამზადებელი სამუშაოები) მე-4 პოზიციაში მოცემული საგზაო ბარიერის 1,8X1,2

(84 გრძ.მ-ის ოდენობით) მოწყობას, დამატებით განხორციელდა შესყიდვის ობიექტის სატენდერო ხარჯთაღრიცხვის გადამოწმება, რის შედეგადაც მოხდა მისი კორექტირება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა NAT200002277 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობებში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და განხორციელდეს მოწოდებული კორექტირებული დოკუმენტის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას NAT200002277 ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) სატენდერო დოკუმენტაციის სიზუსტე, აუცილებელია მასში განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული ცვლილება და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში

სატენდერო კომისია ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულს.

დაადგინეს:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე ოქმის განხილვის ნაწილში მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, განხორციელდეს NAT200002277 ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) სატენდერო პირობების შესაბამისი ცვლილება და და ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის მიერ მოწოდებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა (დანართი N4);
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, უზრუნველყოს **საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 12 (კმ 11+500)-ზე, მდ. ხევისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო** სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT200002277 ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანა წინამდებარე ოქმის დადგენილებითი ნაწილის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

სატენდერო კომისიის თავჯდომარე:

ირაკლი ქარსელაძე _____

სატენდერო კომისიის წევრები:

გიორგი წერეთელი _____ ალექსანდრე თევდორაძე _____

ლევან კუპატაშვილი _____ გიორგი ციბაძე _____

კარლო ლეკვეიშვილი _____ სალომე წურწუმია _____

დავით კალაძე _____ პავლე გამყრელიძე _____

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ნათია ცხოიძე _____ გოჩა მალანია _____

Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2020.02.25 19:11:48 +04'00'